კვლავ დამარცხება

ლენინგრადი. კიროვის სახელობის სტადიონი. 7 ივნისი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

“ზენიტი”: ბირიუკოვი, დავიდოვი, სტეპანოვი, ზოლინი, ივანოვი, ლარიონოვი, ვედენეევი, კაზაჩონოკი, გერასიმოვი, მელნიკოვი, კლემენტიევი (ჩუხლოვი).

“დინამო”: კუცია, დანელია, ჩივაძე, კერესელიძე, უკლება, კაკილაშვილი, კოპალეიშვილი (ცაავა), სულაქველიძე, გუცაევი, ჟორჟიკაშვილი, შენგელია (ბარათაშვილი).

მსაჯი: ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

გააფრთხლეს სულაქველიძე.

კიდევ ერთი, რიგით მეშვიდე მარცხი განიცადა სულ ახლო წარსულში ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ავანგარდში მყოფმა გუნდა – თბილისის “დინამომ”. ამ სენსაციური კრიზისის ობიექტურ მიზეზებზე, კერძოდ, თაობათა ცვლაზე ბევრი დაიწერა და ითქვა, მაგრამ სატურნირო ცხრილში ასე მკვეთრად ჩამოქვეითება, ბუნებრივია, მხოლოდ ამ მიზეზით ვერ აიხსნება.

დღეს საქართველოში კაცი ვერ დაიჯერებს და არც უნდა დაიჯეროს, რომ როგორც “დინამოს” სატურნირო მდგომარეობა, ისე მისი თამაშის დონე ზუსტად ასახავს ჩვენი ფეხბურთელების შესაძლებლობათა მაქსიმუმს.

რა თქმა უნდა, სიტუაციაში, როცა გუნდში ასე მომრავლდა ახალბედა ფეხბურთელები, ძნელია ამ მძიმე ტვირთის ტარება, რასაც აქამდე ვაჟკაცურად უძლებდა სახელოვანი კოლექტივი, მაგრამ პასუხისმგებლობისა და რთულ მოვალეობათა ასე ჰაიჰარად მიტოვებაც არაფრით არ არის გამართლებული.

კარგა ხანს ყველანი იმის იმედით ვიყავით, რომ გუნდის ძირითადი ბირთვი საკუთარი მაგალითით – ძალისა და ენერგიის გაორმაგების ხარჯზე – ამ გაძნელებულ პირობებში აიყოლიებდა ახალბედებს, რაც მერე და მერე კოლექტივის საერთო დონესა და ოსტატობასაც შესამჩნევად ასწევდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. არადა ჩვენს მოწინავე ფეხბურთელებს – ჩივაძეს, სულაქველიძეს, შენგელიას, გუცაევს რომ საამისო ძალა შესწევთ, საეჭვო არ უნდა იყოს. სამი მათგანის ნაკრებში გამოსვლების დონე სწორედ ამის დასტურია. ბუნებრივია გაცილებით მეტი მოეთხოვებათ ახალგაზრდებსაც. უკვე თვით ის ფაქტი, რომ თბილისის “დინამოს” შემადგენლობაში თამაშობ, იმდენს გავალებს კაცს, რომ ყოყმანის, სულმოკლეობის, ძალის დაზოგვის უფლება აღარა გვაქვს, წუთით არ უნდა გავიწყდებოდეს, რომ მარტო “დინამოს” მაისურს კი არა, ერის მაისურს, ერის ნდობას ატარებ.

აი, ეს აზრია გატარებული რედაქციაში შემოსულ წერილებშიც, ამ აზრს იზიარებს რესპუბლიკის ასეულ ათასობით ფეხბურთის ქომაგი…

…”ზენიტთან” მატჩის 45–ე წუთზე ლენინგრადელი კლემენტიევის მიერ გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა. მეორე ტაიმში თბილისელები ბევრს უტევდნენ, ანგარიშის გაქვითვის შესაძლებლობაც ჰქონდათ, მაგრამ დამარცხებას თავი ვერ დააღწიეს, 7 დამარცხება 12 მატჩში კი ნამდვილად საგანგაშოა.

“ლელო”, 9 ივნისი, 1983 წ.